GRASS FACTCHECK

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 125
თარიღი 30 03 2015 წ.

ქალაქ რუსთავის მერიის

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ როდის, რა ოდენობისა და ღირებულების სანიაღვრე სისტემა გადასცა რუსთავის მუნიციპალიტეტს?
- როდის დაიწყება სანიაღვრე სისტემის დამონტაჟება, როდის შევა ექსპლუატაციაში და რა არის პროექტის სავარაუდო ღირებულება? (გთხოვთ, მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია სამუშაოების დაწყებისა და დასრულების ვადების შესახებ);
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გადმოცემული სანიაღვრე სისტემები მოემსახურება თუ არა მთლიან ქალაქს? (თუ არა, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფრომაცია ქალაქ რუსთავის, რა ნაწილში დამონტაჟდება სანიაღვრე სისტემები);
- განხორციელებულა თუ არა წარსულში სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის პროცესი? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ დეტალურად, განხორციელებული პროექტების ღირებულებებისა და მასშტაბების შესახებ);
- სანიაღვრე სისტემების პრობლემის გამო, ბუნებრივი სტიქიის (ნალექი) შედეგად შექმნია თუ არა ქალაქ რუსთავს პრობლემები? (გთხვოთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ დეტალურად დაზიანებული ინფრასტრუქტურისა და მიყენებული ზარალის ფინანსური ღირებულების შესახებ).

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS) ვიცე-დირექტორი

GRASS FACTCHECK

მისამართი:

თბილისი, მიცკევიჩის 27

საკონტაქტო პირი:

ლაშა სენაშვილი

მობ: 598 809 512 / ელ. ფოსტა: lashasenashvili@gmail.com